წელიწადი პირველი. ფასი 5 კაპ. ოთხშაბათი, 8 ივლისი 1915 წ. № 38

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციაში და კანტორაში ყოველდღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე, საღამოს 5—7-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის: Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76.

განცხადების ფასი:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 4 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ ს. ლოსაბერიძის სტამბაში, მოსკოვის ქუჩაზე) ეღირება 5 მანეთი.

„საქართველოს“ კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ივლისიდან წლის დამლევამდე ღირს 4 მან. 50 კ., 1 ოქტომბრამდე—2 მ. 25 კ., ერთი თვით—90 კ., ადრესის გამოცვლა—40 კ.

მოვაგონებთ „კლდის“ იმ ხელის მომწერთ, ვისაც მთელი წლის ფული აქვს გადახდილი (5 მ.), რომ „საქართველო“ გაეგზავნებათ მხოლოდ 1 ივლისამდე.

**მისამართი:** г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვა.

**იმ საშინელ ცეცხლის გამო, რომელმაც იმსხვერპლა ქართული თეატრი და თავად-აზნაურობის სხვა შენობები, დროებით დაკეტილი**

## „კაფე პარიზი“

**გაიხსნა წინანდელ შენობაში, სასახლის ქ., თ.-აზნ. ქარვასლაში,**
იგი გამშვენიერებული და გალამაზებულია სატახტო ქალაქების პირველ-ხარისხოვან სასადილო-რესტორანების სტილით.
ყოველ დღე გვაქვს ევროპული და ჩვენებული საჭმელები, რომლებიც ნამდვილ კარაქზე მზადდება გამოცდილ კულინარის ხელმძღვანელობით. სასადილო-რესტორანს აქვს მყუდრო ბაღი, სანარდე და საბილიარდო განყოფილება 4 ბილიარდით და 10 ნარდით.
სხვა და სხვა ხილეულობის წყალი, ნაყინი, ღომი, საცივი და ყოველგვარი იმერული საჭმელები. **თვიურ მოსადილეთ დიდი შეღავათი.**

პატივისცემით **დ. გიგიბერია.**

პირველხარისხოვანი

## „კაფე ბორდო“

მიხეილის პროსპექტზე, № 18 და მიხეილის ქუჩაბანდი № 1.
**ყავა, ყოველგვარი ცხელ-ცხელი საუზმე დილის 9 საათიდან 12 საათამდე. სადილი** 1—6 საათამდე. **სადილი 2, 3 და 4 თავიანი.** აგრეთვე ჩვენერბური საჭმელები: ხარჩო, ღომი, საცივი, ხაჭაპური, ნაყინვი და სხვა და სხვა ხილის წყალი, ცხელი „პიროჟკები“. თვიურად მოსადილეთ შეღავათი ეძლევათ. სადილს ვგზავნით ოჯახებშიც. სასადილო ღიაა დილის 8 საათიდან საღამოს 11 საათამდე.

პატივისცემით **რაჟდენ იოსელიანი.**

**დოქტორი მედიცინისა**

მოსე ანთიმოსის ძე

## კალანდარიშვილი

უფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.

**ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან** ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე მანგლისში კადეტთა კორპუსის აგარაკში.

**კბილის ექიმი**

## ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. და საღ. 5—7 საათ. ყაზბეგის ქუჩა 14 და კირპიჩნი შესახვევის 21.

**ქ. გორში**

**ექიმი** ნ. მ. კლიძიაშვილი

იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.

აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან

## თბილისი, 8 ივლისი.

**ერთა სოლიდარობა და შეთანხმება.**

უკანასკნელ დროს „სახალხომ“ ერთა სოლიდარობის შესახებ წერას მოუხშირა. რადგან ამ წერილებში მხოლოდ განყენებული სურვილი იყო გამოთქმული შესახებ იმისა, რომ ერთა სოლიდარობა კარგი და სასურველი რამ არისო, „საქართველომ“ ნათლად და მკაფიოდ ჰკითხა ამ გაზეთს: რანაირ რეალურ ნიადაგზე უნდა დამყარდეს და რაგვარ ფორმაში უნდა ჩამოყალიბდეს ეს სოლიდარობა და შეთანხმებაო. ნაცვლად პასუხისა და ან გაჩუმებისა „სახალხომ“ მოკლედ და თავხედურად გადმოისროლა: ჩვენ „საქართველოს“ იწილო-ბიწილოსი ვერაფერი გავიგეთო. ვისაც განზრახ ყური არ მოუყრუებია, ადვილად გაიგო ჩვენი მარტივად და მკაფიოდ [..]ქმული შეკითხვა. გაიგო იგი „აზრმა“, [..]აიგო „ახალმა კვალმაც“, რომელმაც [..]ნიშნა, რომ „სახალხოს“ მიერ წამოლილი სიტყვა „ვერაფერი არგუმენ[..]ია“ და იგი „ყველასათვის მისახვედრი პოლემიკური ფანდიაო“.

შემდგომ ამისა ჩვენ განზე გავდექით და თვალ-ყურს ვადევნებდით „აზრისა“ და სახალხო ფურცლის“ მსჯელობას და ძებნას იმ ნიადაგისას, რომელზედაც უნდა მომხდარიყო ერთა შეთანხმება და [..]ო შორის სოლიდარობის დამყარება. ნიადაგის ფრთხილსა და გაუბედავ [..]ევა-ძიებაში, როგორც მოსალოდნე[..] იყო, თავგმა სთხარა და ბოლოს კა[..]კამოთხარა.

[..]ვენ უარვყოფთ „სახალხოელთა“ [..]ნულ პროგრამას, რომელიც ტერიტორიის გამიჯვნის პრინციპზეა აგებული“—მოკლედ მოსჭრა ბოლოს „აზრმა“.

„სახალხო“ ალბად არ მოელოდა ასეთ პასუხს. მას დაავიწყდა, რომ „აზრელები“ არსებობენ და აზროვნობენ გარეშე დროისა და სივრცისა, რომ მათთვის არაფერი მომხდარა და არც შეცვლილა რამე, რომ ამ ხალხმა არაფერი ისწავლა ახალი და არც რამ დაივიწყა ძველისა. თუ „სახალხოს“ სჯერა, რომ „აზრელები“ აზრს გამოიცვლიან, განაგრძოს შრომა სიზიფისა და ურწმუნოთა მორჯულება, ჩვენ კი „აზრს“ არ გამოვედავებით და ისევ დავუბრუნდებით ერთა შეთანხმების და სოლიდარობის გეგმას—ერთა ტერიტორიის გამიჯვნას.

ეს გეგმა ძველი და მარტივია. ჩვენსა და „სახალხოელთა“ შორის აქ სადავო და საცილობელი არაფერია. ჩვენ მეტად მარტივ და საანბანო ჭეშმარიტებად მიგვაჩნია ის აზრი, რომ ეროვნულ შუღლის ჩანელება შეიძლება

გარკვეულ საზღვრებში. დამყარება ერთა შორის სოლიდარობისა გარეშე ტერიტორიისა და განხორციელება ერთა თავისუფლებისა უსაზღვრო სივრცეში არის მხოლოდ სურვილი გულკეთილობისა, განყენებული ოცნება და უაზრო სიტყვა, რომელიც სინამდვილეში ერთ გროშადაც არა ღირს.

ჩვენ ვიცით „სახალხოს“ მიერ აღნიშნული საზღვარი და სწორედ ამ საზღვარმა გასთხარა ჩვენ შორის ის გარდუვალი უფსკრული, რომელსაც ჩვენ **არასოდეს და არასგზით** არ გადავაბიჯებთ. ორივეს კარგად გვესმის სადაო საგანი. თუ „სახალხოს“ სურს მისი გამორკვევა, ჩვენს ნათქვამს განზრახ იწილო-ბიწილოდ კი ნუ ჩასთვლის,

მთელი დედა-აზრი „სახალხოს“ მიერ უდროოდ აღძრულ საკითხისა ჩამარხულია მხოლოდ საზღვრებში, და სწორედ ეს საზღვრები უნდა გამოირკვეს და ჩაიყაროს, თორემ ვის რად უნდა „აზრისა“ და „სახალხოს“ ტრუიზმები, გაუთავებელი განმეორება და სერიოზული მტკიცება იმ საანბანო ჭეშმარიტებისა, რომ ერთა სოლიდარობა, ძმობა, ერთობა და სიყვარული ყველასთვის სანატრელი რამ არის: ბავშმაც კი იცის, რომ ცეცხლი მწვავეა, წყალი სველია და სინათლე სჯობია სიბნელეს.

სწორედ „უახლოეს მიზნისათვის“ ეს გაცილებით მავნეა დემოკრატიისათვის, ვიდრე წარმოშობა მშობლიური ბურჟუაზიისა, რომელიც კანტი-კუნტად ჩნდება ჩვენში და გააფთრებულ ბრძოლას განიცდის ს. დემოკრატებისას.

ჩვენ არ შეგვიძლიან ჩვენი ეროვნული თვალსაზრისი მოვახვიოთ ს. დემოკრატიას და ამისათვის მაგალითები მოვიყვანოთ, თუ რამდენათაც მოუხერხებელია ლაპარაკიც კი სოლიდარობაზედ ჩვენი სხვა ჯგუფებისათვის—გლეხობისა, თავად-აზნაურობისა, ბურჟუაზიისა და სხვა და სხვა, რადგან ეს საბუთი არ იქნებოდა იმ ხალხისათვის, ვინც პროლეტარიატის გარედ ვერაფერს ვერა ხედავს, მაგრამ გაკვრით მაინც არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ, რომ ჩვენი ერის 99% პროლეტარიატის გარეშე სდგას

ლება სწორია თვისი პოლიტიკური შინაარსით; სოლიდარობა არსებულ კაპიტალისტურ პირობებში მხოლოდ იქ არის შესაძლებელი, საცა თანასწორძალაობაა გამეფებული

მაგრამ ამ დებულებამდე თუ მივიდა „სახალხო ფურცელი“, სად არის მისი სოციალისტური სოლიდარობა, რომელიც დამყარებული უნდა იყოს არა ძალაზედ, არამედ ინტერესთა შეგნებაზედ და სიყვარულზედ,

„სახალხო ფურცელმა“, უნდა ვიფიქროთ, აქ ან ნიღაბი აიხადა, ან, რაც უფრო მოსალოდნელია—ისე ჩაიჩოქა, რომ გამოსავალი აღარა აქვს. უნდა პირდაპირ ითქვას—რომელ ღმერთს ემსახურება—ეროვნულს, სოციალისტურის წინააღმდეგ, თუ სოციალისტურს—ეროვნულის წინააღმდეგ? თორემ რყევა და ორ სკამზე ჯდომა დღევანდელ დღეს უარესი ბოროტებაა, ვიდრე შეგნებული და ურყევი რეაქციონერობა, რომელსაც ყოველთვის იცი, საიდან მოუარო და საიდან უმტრო.

რას ამბობს ამ დროს „თანამედროვე აზრი“? იგი იცილებს თავიდან ერთა სოლიდარობის **მთელს** საკითხს და ამბობს: „მუშას მუშასთან გასაყოფი და საქიშპო არა აქვს რაო“. ეს საკითხის გადაჭრა კი არა, გადაფუჩეჩებაა: ყველა მოვლენა ლოღიკურად და ყოველმხრივად უნდა განიხილებოდეს და დასკვნა ისე იყოს გამოტანილი, თორემ ნაწილ-ნაწილ ეშმაკსა და ანგელოზსაც შეიძლება გამოუძებნოთ საერთო რამ მხარე.

## ქართველ მუშის გზა

III

წინა წერილში ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები, საიდანაც ნათლად გამომდინარეობს ერთად ერთი დასკვნა: განსაზღვრულ ფარგლებში, განსაზღვრულ ტერიტორიაზედ შეუძლებელია სოლიდარობა მუშათა შორის იმ დრომდე, ვიდრე ეს მუშები სხვა და სხვა კულტურულ საფეხურზედა სდგანან. ეს მით უფრო ძნელია, რომ ჩვენი, ქართველების ტერიტორია დაცული არ არის საზღვრების მხრივ არავითარი კანონით, არავითარი არც ბუნებრივი, არც მოფიქრებული ზღუდეებით. პირიქით, ყველა შეუძლიან ჩვენში დაიმკვიდროს მით უფრო, რამდენადაც მდიდარი და მიმზიდველია ჩვენი ქვეყნის ჰავა, ბუნება, ცა თუ დედამიწა,

ეს ნათლად უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი ყველა პრაქტიკულად მომუშავე დემოკრატს

აი აქ უნდა ვისარგებლოთ, ჩვენ შემთხვევით და გამოვააშკარაოთ თუ რამდენად თვალებს ხუჭავენ ნამდვილი და ყალბი დემოკრატები სინამდვილეზედ და ჰგონიათ, რომ ეს სინამდვილე არც არსებობს.

„სახალხო ფურცელი“ სოლიდარობას ჰქადაგებს, რადგან „კავკასიაში ვერც ერთი ერი ვერ იბატონებსო“—ეს დებუ-

ჩვენი დემოკრატია, და ნამეტნავად სოციალდემოკრატია, თვალს უხვევს მუშათა კლასს იმის მაგიერ, რომ განუმარტოს ნამდვილი ვითარება და აქედან ლოღიკური დასკვნაც გამოიყვანოს. საუბედუროდ, ჩვენს ერს, როგორც მთელს ერთეულს, არასოდეს არა ჰყოლია ღირსეული დამცველი არც თეორიაში და არც პრაქტიკაში და ასეთ ბედნიერებას ვერც ჩვენი მუშათა კლასი ეღირსებოდა, რასაკვირველია, რადგან მისი ცხოვრების პირობებს და მის გარ-

შემო შექმნილ მდგომარეობას კი არავინ იკვლევს კონკრეტულად, არამედ თავს ახვევენ სხვა ადგილებიდან გადმოტანილ თეორიულ მოსაზრებათ. შეეგუება თუ არა ეს თეორიები ადგილობრივ მდგომარეობას, არავინ დაგიდევს, და სწორედ ამაშია უბედობა ჩვენი მუშათა კლასისაც.

რ. გ.

# ომის დღიური

## მიმოხილვა

დღევანდელი უუდიდესი და უუსაშინელესი ბრძოლა, რომელიც თავის სიმკაცრით და შედეგებით გაცილებით სჭარბობს დღეიდგან განთქმულ გალიციის ოპერაციას, უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე მოსალოდნელი იყო. დღეს თუ ხვალ ბრძოლის ბედი საბოლოოდ უნდა გადასწყდეს, რადგან გერმანელები მოუახლოვდნენ იმ ხელოვნურ და ბუნებრივ პოზიციებს რუსებისას, სადაც—თქმა არ უნდა—რუსები მთელ თავიანთ ძალ-ღონეს მოიკრებენ და უკიდურესის წინააღმდეგობის გაწევით ეცდებიან შესცვალონ ბრძოლის ბედი, ან შეაჩერონ ავსტრო-გერმანელთა უთვალავი ჯარი, რომელიც ჯერ-ჯერობით წინ მოიწევს მთავარ საოპერაციო მიმართულებით.

ბალტიკაში გერმანელები მოადგნენ ტუკუმს და დობლენს. ტუკუმი მდებარეობს რიგის ყურეს სამხრეთით 20 ვერსზე და რიგის ციხე უსდ-დვინსკისა და მიტავის დასავლეთით სამ ვერსზე დობლინი ტუკუმის სამხრეთით არის, ვინდავის დასავლეთით 30 ვერსზე. ამ მოძრაობით გერმანელებმა თითქმის გაასწორეს ბრძოლის პირი, რომელიც ჩრდილოეთიდან პირდაპირ სამხრეთისკენ ეზვება თითქმის სუვალკამდე. იგი მოდრეკილია მხოლოდ ცენტრში, სადაც პოპელიანის მიდამოებში რუსის ჯარი სოლსავით შეჭრილია გერმანელთა ფრონტში.

არაფერი ისმის ოსოვეცისა და მის მახლობელ მიდამოების შესახებ.

მეტად საინტერესო და ფრიად დიდმნიშვნელოვანი ამბები ხდება მდინარე ნარევის ნაპირებზე, ორი ციხის—ოსტროლენკასა და ნოვოგეორგიევსკის შუა, სადაც ზოგი გაზეთის ანგარიშით, გერმანელებს 300.000 კაცი მოუგროვებიათ. ნარევი ოსტროლენკასთან ჯერ სამხრეთით უხვევს, მერე სამხრეთ-დასავლეთით და ნოვოგეორგიევსკის აღმოსავლეთით, 30 ვერსის სიშორეზე, ერთვის ბუგს, რომელიც თავის მხრივ ნოვოგეორგიევსკთან ერთვის მდინარე ვისლას. ბრძოლის პირი ამ ორი ციხის—ოსტროლენკასა და ნოვოგეორგიევსკის შუა—უდრის 100 ვერსს. რუსის ჯარს აქ უკან დაუხევია და თავი მოუყრია ნარევის ნაპირებზე, სადაც ხიდების მიდამოები და მისასვლელები ძალიან არის გამაგრებული. თქმა არ უნდა, რომ ამ ხიდების გულისთვის ამ მდინარეზე მეტად სასტიკი ბრძოლა გაიმართება. რუსის ჯარის სტრატეგიული მდგომარეობა ამ ფრონტზე მძლავრდება იმ გარემოებით, რომ ჯერ ერთი—თვით მდინარის ნაპირები ძალიან არის გამაგრებული, და მეორე—მას ორივე წვერი უზრუნველყოფილი აქვს ორი დიდის ციხით.

გარდა ამისა, თუ გერმანელებმა მოახერხეს ნარევის გადმოლახვა, მათ წინ უხვდება მეორე და უფრო დიდი მდინარე ბუგი. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ეს ხაზი მეტად ძლიერია, რაიც აღნიშნულ იქნა ნაპოლეონის მიერ, როცა მისი ჯარი მოადგა ამ მდინარეს და დიდის გაჭირვებით აიღო პულტუსკი და ოსტროლენკა.

ნარევის ფრონტზე არა ნაკლები—ზოგის თქმით კი მასზე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ლიუბლინ-ხოლმის მიმართულებას, სადაც ფელდმარშალ მაკენზენს „რეჩი“-ის ანგარიშით 14 კორპუსი ჰყავს, ე. ი. თითქმის 600.000 კაცი. აქ 5 ივლისს მაკენზენს აუღია კრასნოსტავი, სადაც რამდენიმე გზა იყრის თავს, ხოლო მის მარცხენა წვერს უფრო წინ წაუწევია და ხოლმ-ლიუბლინის რკინის გზას 10 ვერსით დაახლოვებია. მაკენზენის მიზანია ამ გზის გადაჭრა ხოლმის მახლობლად და ლიუბლინის მიდამოებში დაბანაკებულ რუსის ჯარის მოწყვეტა.

გალიციის ჩრდილო-აღმოსავლეთის კუთხეში, სოკალის მიდამოებში გენერალ ბემ-ერმოლის ჯარი მდინარე ბუგის მარჯვენა ნაპირზე გადმოსულა

უფრო კი—მაკენზენის ჯარის მარჯვენა წვერის ოპერაციის გაადვილებას და დახმარებას.

ბრძოლამ სამკვდრო-სასიცოცხლო ხასიათი მიიღო, უმწვერვალეს წერტილს მიაღწია და ისეთის სისწრაფით და ისეთ მნიშვნელოვანი გზით მიდის, რომ მის შედეგზე, შეიძლება, მთელი ომის ბედი ეკიდოს.

მ. ბ—ლი.

## დეპეშები

**ტფილისი**, 6 ივლისი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. ოთხ ივლისის განმავლობაში ზღვის პირას საარტილერიო სროლა იყო. რუსების მოტორიანმა ნავმა ჩასძირა ოსმალეთის დატვირთული ფილუგა. ოლთისის მიმართულებით ოსმალთა მზვერავები შეეხეჩნენ რუსების სადარაჯოებს, რუსებმა სროლა აუტეხეს და გააქც-გამოაქციეს, ბევრი მათგანი დახოცეს. არდოსტის რაიონში ოსმალთა მზვერავები შეეცადნენ რუსების პოსტზე თავდასხმას და ხელით სასროლ ყუმბარები დაუშინეს, მაგრამ რუსებმა ისინი უკუაგდეს, თანაც დიდი ზარალი მიაყენეს. სევრიჩაის მიმართულებით 4 ივლისს ღამით რუსის მზვერავები უცაბედად თავს წააწყდნენ ოსმალებს. ამათ არეულ-დარეული სროლა ასტეხეს; დიდძალი პატრონა დასწვეს; ზარალით კი არავითარი ზარალი არ მიუყენებია რუსებისათვის. მუშის მიმართულებით ბრძოლა თანდათან ვითარდება. რუსის ჯარის ერთმა ნაწილმა ლიზა დაიჭირა და განაგრძობს ოსმალთა დევნას. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

**პეტროგრადი**, 6 ივლისი. ოფიციალი მთავარსარდლის შტაბისაგან. რიგისა და შავლის რაიონში გერმანელებმა მიაღწიეს ტუკუმ-დობლენის ფრონტს და ხუთ ივლისს სამხრეთისკენ განაგრძეს შემოტევა ხომფცუმბერგე-ბენენზე. სოფელ ოკმიანის ჩრდილოეთით ყაზახებმა ზურგიდან დასცხეს გერმანელებს და ოთხ ივლისს საღამოს დიდძალი ბარგი წაართვეს. პოპელიანის რაიონში რუსები ძლიერ აწვებოდნენ გერმანელებს. გერმანელების იერიში შავლთან გამართულ პოზიციებზე 4 ივლისს ღამე რუსებმა მოიგერიეს. ნემანის გაღმა მხარეზედ რუსებმა დაიბრუნეს ის რამდენიმე თხრილი, რომელიც გერმანელებმა შეინარჩუნეს ორ ივლისს. გერმანელებმა შემოტევა განაგრძეს ნარევის ფრონტზე და ოთხ ივლისს ღამით დაიპყრეს სოფელი პორედი. ხოლო რუსებმა მოიგერიეს ის იერიშები, რომლებიც გერმანელებმა მოიტანეს მდ. შკვის მარცხენა ნაპირას სოფლებ ვიკსა-პშენიკზე. ომუალევის დასავლეთით რუსის ჯარები თანდათან იკრიბება და თავს იყრის იმ პოზიციებზე, რომლებიც გამართულია მდ. ნარევის ხიდთა ყურეებთან, თანაც ოთხ ივლისს საღამოს მედგარი საარიერგარდო ბრძოლა გაჩაღდა ქალაქ მაკოვთან, ხოლო სოფელ კარნევოსთან ერთმა რუსის პოლკმა სანაქებო კონტრ-იერიში მიიტანა მტერზე. ხუთ ივლისს რუსებმა მოიგერიეს გერმანელების იერიში ლიუბლინისაკენ ვილკოლაზ-ბიხავას ფრონტზე. გერმანელებმა ხუთ ივლისს ხელთ იგდეს კრასნოსტავი და მის ზემოდ მდებარე ფონები. ხუთი ივლისის განმავლობაში უნაყოფოდ დარჩა გერმანელების იერიში, რომელიც მოიტანეს მდ. ვეპრჟესთან იმ პატარა რუს შორის, რომელიც გადის სოფელ რიბჩევიცედან სოფ. პიასკამდე. ვეპრჟის მარჯვენა ნაპირზედ კრასნოსტავასთან მდ. ვოლიცაზე რუსებმა მოიგერიეს გერმანელების მედგარი იერიშები. მიუხედავად ამისა, მდ. ვოლიცეს შესართავთან და სოფ. გაევნიკთან გერმანელები გამაგრდნენ ამ მდინარის მარჯვენა ნაპირზე, რის შემდეგაც რუსებმა საჭიროდ სცნეს თავიანთი ძალები გადაეყვანათ მეორე რიგის პოზიციებზე. სოფელ გრაბოვეცის რაიონში 5 ივლისს რუსებმა მოიგერიეს მტრის ოთხი გაცოფებული იერიში, რომელიც ერთი ფართე ფრონტზე იყო გაშლილი და ეშველებოდა არტილერიის ქარიშხალური ცეცხლი. გუჩვასა და ბუგს შორის რუსებმა გერმანელები გამორეკეს ყველა დაპყრობილ თხრილებიდან. ხუთ ივლისის განმავლობაში მკაცრი ბრძოლა იყო ბუგზე იქ, სადაც გერმანელები შეეცადნენ მდინარეზე გადმოსვლას სომოროხი-სოკოლის ფრონტზე. სხვა მიმართულებით შესანიშნავი ბრძოლა არ მომხდარა.

**პეტროგრადი**, 6 ივლ. მთავარ გენერალურ შტაბისაგან. მოწინააღმდეგე ყოველგვარ საშუალებას ხმარობს ჩვენ შესახებ არასასურველი ცნობების გასავრცელებლად და ამ ცნობებს განსაკუთრებულ ფასსა სდებენ ნეიტრალურ სახელმწიფოებში.

მაგალითად, ბერლინელ კორესპონდენტის ცნობით შვედური გაზეთი იტყობინებოდა, რუსებს დიდი ზარალი მოუვიდათ ბუკოვინაში და დნესტრზე, რისთვისაც ავსტრიას შერიგება მოსთხოვეს დაჭრილთა და მოკლულთა ბრძოლის ველიდან ასაკრეფადაო. ავსტრიამაც 4 საათის ვადა მისცაო. ამ ხნის განმავლობაში ავსტრიას საშუალება მიეცა დარწმუნებულიყო, ვითომ რუსებს აუარებელი ზარალი მოსვლოდეთ, რამაც ისინი აიძულა რამდენიმე კილომეტრით უკან დაეხიათო. ეს ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

ბუკოვინაში და დნესტრზე დაჭრილდახოცილთა ასაკრებად არავითარ საჭიროებას არ მოითხოვდა 4 საათით ზავი ჩამოგვეგდო; არც მოლაპარაკება გვქონია ავსტრიასთან.

**ჰალმსტადი**, 6 ივლ. გალანდას ოლქის სოციალისტთა ინიციატივით მოხდა ომის საწინააღმდეგო დიდი მიტინგი. დეპუტატი ტორსენის სიტყვის შემდეგ მიტინგმა შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: კრება ეღრმეს პროტესტს აცხადებს იმ მოქმედების შესახებ, რომლითაც სურთ შვეცია ომში ჩაითრიონ, და გამოსთქვამს იმედს, რომ მთავრობა მომავალში დაიცავს სრულ ნეიტრალიტეტს.

**სოფია**, 5 ივლ. გუშინ, მეფის აუდიენციის შემდეგ, თავადი ჰოგენლოე დედოფალმა მიიღო, დღეს დილით მან ინახულა როდოსლავოვი და საღამოს სტამბოლს გაემგზავრა.

**სევასტოპოლი**, 6 ივლ. შავი ზღვის ფლოტის გემებმა ზარბაზნები დაუშინეს ნავთსადგურ ზუნგულდაკს, სადაც ცეცხლი გაუჩინეს ერთ სანახშირო გემს და დაანგრიეს ნაპირის შენობები. რუსის ნაღმოსნებმა შეამჩნიეს ოსმალთა იალქნიანი გემები, რომლებიც ნახშირით იყო დატვირთული. დააპატიმრეს მეზღვაურები და გემები ჩაძირეს.

**სტოკჰოლმი**, 6 ივლ. უპსალის უნივერსიტეტის სტუდენტთა თავმჯდომარემ პრივატ-დოცენტმა ვესსენმა შვეციის სტუდენტობის სახელით ბერლინის სტუდენტობას მადლობა გამოუცხადა იმ ჩირაღდნებიან პროცესიის გამო, რომელიც ბერლინის სტუდენტობამ გამართეს შვეციის დედოფლის პატივსაცემად. ამავე დროს გერმანიის ხალხს ვესსენი სიმპატიას უცხადებს. დღეს შვეციის გაზეთებში სტოკჰოლმის უნივერსიტეტების სტუდენტთა ყველა კორპორაციების პროტესტია მოთავსებული ვესსენის ამგვარ გამოსვლის წინააღმდეგ. პროტესტში ნათქვამია, რომ ვესსენის საქციელი თვითნებობაა და მას არ ჰქონდა უფლება მთელ შვეციის სტუდენტობის სახელით გამოსვლისაო. სტოკჰოლმის სტუდენტობას პრინციპიალურად არ სურს თავის სიმპატიისა და ანტიპატიის გამოცხადება მეომარ სახელმწიფოთა მიმართ. აღსანიშნავია ისიც, რომ ვესსენი ეხლა ლეიპციგში იმყოფება და პირველი ცნობა უპსალის უნივერსიტეტის სტუდენტობის მადლობისა სტოკჰოლმში ბერლინიდან მიიღეს.

**პარიზი**, 5 ივლ. საღამოს ოფიციალი ცნობა. არტუაში, სუშეს გარშემო, არტილერიის სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. დიდი ყალიბის თორმეტი ყუმბარა არასს მოჰხვდა. მაასის მარჯვენა ნაპირზე ქვეითა ჯარის ფიცხელი ბრძოლა სწარმოებს. დილის იერიშით დავიბრუნეთ ნაწილი თხრილებისა, რომელიც მოწინააღმდეგემ ხელთ იგდო.

სონვოს ფერდობიდან ჩრდილოეთით მთელის დღის განმავლობაში გერმანელებს იერიში მოჰქონდათ და ანთებულ სითხეს გვესროდნენ, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. ამ ბრძოლის დროს მოწინააღმდეგეს დიდი ზარალი მივაყენეთ, ტყვედ შევიპყარით ორი ოფიცერი, 200-ზე მეტი ჯარისკაცი სხვა და სხვა პოლკებისა. სხვა ფრონტზე თვალსაჩინო არაფერი მომხდარა.

**ლონდონი**, 5 ივლ. მარშალი ფრენჩი იუწყება: მდგომარეობა უცვლელია. თუმცა 26 ივნისიდან არავითარი ბრძოლა არ მომხდარა, მაინც მთელს ფრონტზე თვალსაჩინო მოქმედება არ შეწყვეტილა. ორივე მხრიდან ნაღმებს აფეთქებდნენ და ფრონტის ზოგიერთ ნაწილს ყუმბარებს უშენდნენ. მოწინააღმდეგეს სამჯერ მიეცა შემთხვევა ჩვენი თხრილები დაეჭირა, საიდანაც ჩვენ კვლავ გავდევნეთ. ეს ბრძოლა იმით არის დამახასიათებელი, რომ მოწინააღმდეგე ხელახლად შემოტევის დროს მრავალ ყუმბარას ისროდა და შხამიან ბოლს უშვებდა.

## ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუმინიის ყოფილი პრემიერი რუსეთის წინააღმდეგ

რუმინიის ყოფილი პირველი მინისტრი ბ-ნი პეტრე კარპი, რომელიც დიდი მომხრეა იმისი, რომ რუმინია გერმანიასა და ავსტრიას გვერდში ამოუდგეს, კიდევ აშკარად ილაშქრებს გაზეთ „მოლდავის“ ფურცლებზე რუსეთის წინააღმდეგ. კარპმა მოათავსა რიხიანი წერილი ამ სათაურით: „არ დავკარგოთ იშვიათი მომენტი“. ავტორი სწერს: „ეხლანდელი მომენტი შეძლებას გვაძლევს, რომ რუმინიამ თვისი ჯარებით ბესარაბია დაიჭიროს. ამაზედ უფრო მარჯვე დრო არასოდეს არ დაუდგება რუმინიის ხალხს თვისი ეროვნული მისწრაფები, განსახორციელებლად. რუმინია უნდა ჩაერიოს მსოფლიო ომში და თავი გაანებოს სანტიმენტალურ მოსაზრებებსაო.

### ინგლისის მომხრე გაზეთი სოფიაში

სოფიაში გამოვიდა ახალი გაზეთი „დუმა“, რომელიც აშკარად ინგლისის სასარგებლო პოზიციას იცავს.

### პოლონეთის კოლო.

პოლონეთის კოლომ მოსთხოვა ავსტრიის მთავრობას გამოაქვეყნოს მკაფიოდ განსაზღვრული დეკლარაცია შესახებ პოლონეთის მიწების განზრახულის მოწყობისა. ამასთან დაკავშირებით, გალიციის მინისტრი მარასკი და თავმჯდომარე პოლონეთის კოლოსი, ბ-ნი ბულინსკი იმპერატორმა ფრანც-იოსებმა საუდიენციოდ მიიღო.

### ცილეული ნივთიერება ჰარხალში.

ვენის ცნობილმა პროფესორმა ედუარდ დონატმა ჰარხლის წვენიდან ცილეული ნივთიერება მიიღო.

---

გერმანული გაზეთი „ლოკალ ანცაიგერი“ სწერს, ორი დღის წინად ვიდრე ომი გამოცხადდებოდა, ერთს სასტუმროს კომლეცში საიდუმლო დეპეშა მიუვიდა: ყველა ოთახები მქირავებს დააცლევინეთო. ეს ბრძანება 30 წუთში აღსრულებაში მოიყვანეს. ამ სასტუმროში მოათავსეს მთავარი შტაბი კაიზერისა. იქვე მახლობლად პრუსიელ მინისტრის სასახლეში სცხოვრობდა კაიზერი ვილჰელმი. იგი თურმე დილის 5 საათზე სდგებოდა და უმალვე სამუშაო მაგიდას მოუჯდებოდა ხოლმე, 8 საათზე ცხენით სასეირნოდ გადიოდა და 11 საათზე შტაბში შედიოდა.

### გერმანელები პოლონეთში

გერმანელების მიერ დაპყრობილ პოლონეთში გენერალმა ჰინდერბურგმა საქალაქო თვითმართველობა შემოიღო.

### მეფის მოადგილის დეპეშა

მეფის მოადგილემ დეპეშა დაუგზავნა გუბერნატორებს და ოლქის მართველებს, სადაც მოითხოვს დაუყოვნებლივ ზომები იქმნეს მიღებული საზოგადო ძალთა მობილიზაციის მოსახდენად. ამ მობილიზაციამ მომავალ ჭირნახულის შეგროვების საქმეში დახმარება უნდა გაუწიოს მკვიდრებს და მით შეამსუბუქოს ის ნაკლი, რომელსაც ომის წყალობით მთელი ქვეყანა განიცდის.

### დელკასეს შვილის დაპატიმრება გერმანელების მიერ

„ბირჟ. ვედ.“ კოპენჰაგენიდან ატყობინებენ, რომ იმ ექვს ფრანგ ოფიცერთა შორის, რომლებიც გერმანელებმა დააპატიმრეს და შპანდაუს ციხეში ჩასვეს, იმყოფება საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის დელკასეს შვილი.

### გენადიევის გარშემო.

გენადიევის მომხრეთა სიტყვით, გენადიევის პასუხისგებაში მიცემა მინისტრ პეტკოვის საქმეა,—სარჩულად პარტიაში გაბატონების სურვილი უდევსო. გერმანიის მომხრეთა ხრიკებიც დიდ როლს თამაშობს ამ საქმეშიო.

32 სტამბულიტ-დეპუტატიდან 24 მოითხოვს, რომ გაუქმებულ იქმნას გენადიევის პასუხისგებაში მიცემის დადგენილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი იმუქრებიან, რომ საპარლამენტო ბრძოლაში მთავრობას მხარს არ დაუჭერენ.

### ორი მთავარსარდალი

„ბირ. ვედ.“ იუწყება, რომ მთელ ჩრდილოეთ ფრონტზე, ვარშავიდან ბალტიის ზღვამდე, გერმანელთა ყველა ჯარების მთავარსარდლობა მინდობილი აქვს გერმანიის ყოფილ მინისტრად ნამყოფს გენერალ ფალკენჰაინს, რომელიც იმპერატორ ვილჰელმის მახლობელი მეგობარია და დიდის ნდობით არის აღჭურვილიო. სამხრეთ ფრონტზე,—ლიუბლინ-ხოლმის რაიონში ასეთივე მთავარ-სარდლად ითვლება ფელდ-მარშალი მაკენზენი.

### ინგლისელების ზარალი დარდანელში

პარლამენტში ასკვიტს ჰკითხეს, ზარალი მოუვიდა დარდანელში. შემდეგი ცნობა წარადგინა: 18 მაისამდე ინგლისს დაუკარგავს დარდანელში:

| | ოფიც. | ჯ.-კაცი | სულ |
|---|---|---|---|
| მოკლული | 496 | 6927 | 7423 |
| დაჭრილი | 1134 | 23542 | 24676 |
| უგზო-უკვ. დაკარ. | 92 | 6445 | 6537 |
| სულ | 1722 | 36914 | 38636 |

ფრანგების დანაკლისი ანგარიშში არ შედის.

### ბელგიის ბედის შესახებ.

ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერმა მაკდონალდმა ციურიხში დააარსა გაზეთი „Internationale Rundschau“, რომელმაც თავისუფალ ტრიბუნის როლი უნდა ითამაშოს მორიგ საკითხების გადასაჭრელად.

ბელგიის შესახებ მაკდონალდი მოითხოვს ამ გაზეთის ფურცლებზე, რომ გერმანიამ სულერთიანად დასცალოს ბელგიის ტერიტორია. ამას გარდა ბელგიას ის ზარალიც უნდა აუნაზღაურონ, რომელიც ომმა მიაყენა. მიუნხენელი გერმანელი პროფესორი - ეკონომისტი ბრენტანო იმავ გაზეთში ეხება ბელგიას, მაგრამ გარკვეულს არას ამბობს, შენიშნავს მხოლოდ: გერმანიას უნდა შერჩეს სტრატეგიული პუნქტები, რომ ომის დროს მომავალში გამოიყენოსო. ბრენტანოს აზრით ბელგიას ვერ მიენიჭება უფლება თავის ბედის გადაწყვეტისა.

### გერმანელ მებრძოლთა რაოდენობა.

„ბირჟ. ვედომოსტი“ აღნიშნავს რუსეთის წინააღმდეგ მებრძოლ გერმანელთა ჯარის რაოდენობას. გალიციისა და ლიუბლინის ფრონტზე ყოფილა არა ნაკლებ ექვსი არმიისა, ხოლო სამი არმია და მცირეოდენი ცხენოსანი ჩრდილოეთის ფრონტზე მოქმედობს. ჯარის ცალცალკე ჯგუფები მოქმედობენ ბზურას და რავკის მხარეს.

ჩრდილოეთის ბრძოლაში 600.000 გერმანელი მებრძოლი იღებს მონაწილეობას.

---

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ერთ გერმანელ სარდალს არგენტინის გენერლისთვის მიუწერია: რუსები—მედგარი და მამაცი მოწინააღმდეგნი არიან. თავიანთი ფრონტი ერთ უშველებელ სიმაგრედ გარდააქციეს. რუსებთან ბრძოლა საშინლად ძნელია. თუმცა გერმანელების ზარალი დიდია, მაგრამ ბრძოლას მაინც განვაგრძობთ, რადგან უეჭველად უნდა გავიმარჯვოთ. მსოფლიო ისტორიის აზრის სიმართლე, ლოღიკა და უფლება ჩვენს მხარეს არისო.

### რუმინია და გერმანია

გერმანიაში დღითი დღე ძლიერდება რუმინიისადმი სიძულვილი. როგორც სატახტო, ისე პროვინციის პრესსა აღშფოთეულია იმ ფაქტით, რომ რუმინიამ ნება არ დართო გერმანიის საომარ სურსათის გადაზიდვისა ოსმალეთში. პრესსა მთავრობას აქეზებს და თხოულობს უკიდურეს ზომების მიღებას რუმინიის მიმართ. თუ სურსათი არ მიუვიდა ოსმალეთს, ეს დარდანელის დაღუპვას ნიშნავსო,—გაიძახიან გერმანელები. „Kölniche Zeitung“ რუმინიას გაუმაძღრობას უსაყვედურებს. რუმინიის მიერ მოთხოვნილი კომპენსაცია არამც თუ მეომარ სახელმწიფოთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა, არამედ ბულგარეთის და სერბიის დამოუკიდებლობასაც ემუქრებაო. „Worwärts“ ამჟღავნებს გერმანიის სამხედრო წრეების განზრახვას, რომლებიც რუმინიას იმასვე უპირებენ, რ[...] ბელგიას დაჰმართეს, მაგრამ ამავე დ[...] უსაყვედურებს ბუქარესტს თავის გა[...] მაძღარ მადისთვის.

### ექიმი ტყვეები

რუსეთის გარეშე საქმეთა სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა გერმანიისა და ავსტრიის მთავრობის წინაშე რათა ტყვე ექიმები და სანიტარებ[...] განთავისუფლებინათ. მიუხედავად იმ[...]სა, რომ ეს შუამდგომლობა რამდენჯ[...]მე იქნა განმეორებული, არც ავსტრ[...] და არც გერმანიას ჯერაც პასუხი[...] გაუციათ.

კერძო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ტყვე ექიმები და სანიტარები გერმანელებმა ტყვეების სხვა და სხვა ბანაკებში დაგზავნეს და იქ ამუშავებენ ხოლერის და სხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ საბრძოლველადაო.

# აჭარაში

ამ ბოლო ხანებში ბევრსა სწერენ საზოგადოდ აჭარლების მდგომარეობაზედ, მაგრამ არავის არაფერი უთქვამს იმათ შესახებ, რომელნიც იძულებულნი გახდნენ გაქცეულიყვნენ სათათრეში და, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც მოშორდნენ იმ ადგილებს, სადაც სიყრმითვე შობილან და გაზრდილან.

ეს ადგილები, რომელნიც ომის დაწყებამდე სამოთხისებურ სამოსახლოებს წარმოადგენდნენ, დღეს დღეობით უდაბნოს დამზგავსებია. ყველაფერი გამინდვრებულია და გადამწვარი, ხალხის მაგივრად დათვები და მგლები დაძრწიან, ადამიანის ნაკვალავსაც ვერსად შეხვდებით. ენას ბევრის თქმა შეუძლიან, გულს კი—გრძნობა,

ვინც ამ ადგილების მდებარეობა არ იცის, მას, შეიძლება, ეჭვიც დაებადოს, მაგრამ აიღეთ რუქა, თვალი შეავლეთ ბათომსა და მის მახლობლად მდებარე „სიმაგრეებს“ და დარწმუნდებით, თუ რა უნდა განეცადათ იმ სოფლების მცხოვრებლებს, ვის თავზედაც ზარბაზნებს ჭექა-ქუხილი გაჰქონდა. ეს სოფლებია ეგრედ წოდებული „მაჭახლის ხეობაში“ მდებარე სოფლები: „მაჭახლის პირი“, გვარა, ქედ-ქედი, ჭანივრი, სინდიეთი, ხერტვისი და აჭარის ალმართი, და აჭარის წყლის პირად მდებარე: მაღლაკანი, ჭალ-ხმელა, უჩხეთი და ნამისლევიმილისი. მდებარეობენ ესენი $^1/_2$—7 ვერსის მანძილზედ აჭარის წყალთან ამართულ სიმაგრეებიდან და—გასროლილი ზარბაზნის ყუმბარა ადვილად სწვდება თვითეულ მათგანს.

მტერი პირველად, როდესაც რუსის ჯარი ბათომის სიმაგრეებს ამოეფარა—სწორედ ამ სოფლებში შეიჭრა და მთელ ქვედა აჭარას შიშის ზარი დასცა. შუადარჩენილი მცხოვრებლები დიდ განსაცდელში ჩავარდნენ: გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდათ:

აჭარის მახლობელი სოფელი, რომელსაც მტერი მოადგა—მარადიდი იყო. ეს სოფელი მდებარეობს აჭარისა და ჭოროხის წყლის შესართავიდან ხუთი ვერსის მანძილზე. მარადიდიდან მტერმა გადმოლახა ჭოროხის წყალი, შეიჭრა მაჭახელის ხეობაში, გაიარა სოფლები გვარა, სინდიეთი, ქედ-ქედი, ჭანივრი და ავიდა აჭარის ალმართში; აქედან ვიწრო ბილიკით გადავიდა სინდიეთის მთას და შევიდა სოფელ უჩხეთსა და მილისში, დაბინავდა მცხოვრებლების სახლებში და შეუდგა ხალხის დარბევასა და აწიოკებას. შეშინებულმა ხალხმა არ იცოდა რა ექნა: მფარველი არ ჰყავდა, გასაქცევი გზა მოჭრილი ჰქონდა. ვისთვის მიემართა, ვის მიჰკედლოდა?...

მოფიქრების დრო აღარ იყო, რუსის ჯარი შეუდგა განთავისუფლებას მტრისგან დაკავებულ ადგილებისა ორის გზით: ართვინისა და ბათომ-ახალციხისა; მცხოვრებლებმა ინსტიქტიურად ჯარების მოახლოვებისთანავე, თოფ-ზარბაზნების ჭექა-ქუხილში უკან დახევა დაიწყო: ხერტვისლები ამოეფარნენ მაღლაკანლებს, ორივე—ჭალახმელებს, ესენი უჩხეთლებს და წამისლევლებს. უმეტესი ნაწილი აჭარაში შემოჭრილი მტრისა სწორედ ამ სოფლებში იყო დაბანაკებული და ამიტომ მთელი თავის ძალით რუსის ჯარი ამ ადგილებს ეკვეთა. გარჩევა მტრისა და შინაურისა რუსის ჯარისათვის ძნელი იყო. მტერი ავიდა მაღლა სინდიეთის მთაზედ, აქ გასთხარა თხრილები და რუსის ჯარს სროლა აუტეხა. საჭმელ-სასმელი მოჰქონდათ მათთვის ლაზისტანელ ქალებს მაჭახელის ხეობით. მცხოვრებლები ორ ცეცხლს შუა იყვნენ: სიკვდილი კარზედ მოსდგომოდა და სახლ-კარიან ოჯახიდან შემუსვრას უქადოდა. ორივე მხრივ სეტყვასავით მოდიოდა ტყვია, მტერი ველარ უძლებდა და ნელნელა უკან იხევდა, ხალხი კი რუსის ჯარების მოახლოვებისთანავე მაღლა-მაღლა სინდიეთის მთებში იხიზნებოდა.

დაბრუნებაზედ ფიქრიც ზედმეტი იყო, ან კიდეც რომ დაბრუნებულიყვნენ სად შეეფრებიათ თავი? ან რა თვალსა და გულს უნდა შეეხედა განადგურებულ და მიწასთან გასწორებულ კერასათვის?... შენობები და სალოცავებიც ცეცხლის ალში იყო გახვეული, ამიტომ ხალხმა ისევ უკან დახევა არჩია და თავი დროებით სოფელ აჭარის ალმართს შეაფარა. მაგრამ დიდხანს ყოფნა არც აქ მოუხდათ: მტერმა ვერ გაუძლო ძლიერი რუსის ჯარების შემოსევას, წავიდა და თან ხალხი გაირეკა: შიშველ ტიტველი ბავშვები, ქალები, ბებრები და რა გზითაც შემოვიდა, იმავე გზით უკან დაიხია,გადარეკა სოფელ მარადიდიდან ხალხი ჭოროხის წყლის გაღმა და ამ დღიდან მათ შესახებ დღესაც არავინ არაფერი იცის. ეგრე დაიცალა „მაჭახერის ხეობა“. ეხლა ეს სოფლები მთლად მიტოვებულია. სახლები ყველა გადამწვარია და ძლიერ იშვიათად თუ შეხვდებით ისეთს, რომელიც გადარჩენილ იყოს. ვისაც ეს ადგილები ადრე უნახავს, მტერიც რომ იყოს, იმასაც გული დაეწვება. თითო სახლის ღირებულება არა ნაკლებია 1000—3000 მანეთისა; ოჯახს ვერ ნახავდით, რომ რამე გასაჭირი ჰქონოდა, ყველაფერი უხვად ჰქონდათ: ოთხფეხა საქონელი, ფრინველი, სახლის ავეჯეულობა, სკივრები, ხალიჩები, საკერავი მანქანები, ყველაფერი ეს დაღუპულია,

ეგრე უბრალოდ, ეგრე უდანაშაულოდ დაობლდა და გაოხრდა რამდენიმე ასეული ოჯახი, ეგრე გატიალდა და განადგურდა მრავალი წლობით შექმნილი დოვლათი და სიმდიდრე.

სოფელ აჭარის ალმართში დამწვარია 21 მოსახლე, სოფელ ჭანიევში—7 მოსახლე, ქედ-ქედში—10, კირნოთი-ქობოლეთში—40, გვარაში—9, სინდიეთში—9; მაჭახელში არ დაუწვავთ, მაგრამ შენობები დამსხვრეულია; ხერტვისში დამწვარია—3 მოსახლე, მაღლაკში—6, უჩხეთში—$^2/_3$ სოფლისა გადამწვარია; დამწვარია აგრეთვე ყველგან, სადაც კი იყო, სალოცავები.

აი ასეთია ისტორია ქვედა აჭარის ერთი პატარა კუთხისა. ეს სოფლები ეხლა ღვთის ანაბარად არის მიტოვებული. მათ შველა და პატრონობა უნდა, რადგანაც გაშენებულ ბაღებში, რომელსაც დღეს ბალახი და გვიმბრა მორევია—საუცხოვო ვაშლი, მსხალი და კაკლის ხე მოდის. თვითეული ოჯახი წელიწადში არა ნაკლებ 200—300 მანეთის ხილსა ჰყიდდა. ეს მიტოვებული ადგილები ეხლავე ბევრს მადას უხსნის აქ დასახლებისას და შესაფერ თხოვნებსაც ჰგზავნიან სადაც ჯერ-არს,

მე.

# ოფიცრის ნაამბობი.

ორი დღე და ღამე დაყრუებული ვიყავ. ბრძოლის ველიდან ვინ გამომიყვანა, ან როდის გამომიყვანეს, სრულებით არ მახსოვს. როდესაც საავადმყოფოში მოვსულიყერდი, ვნახე რომ არსად ვიყავ დაჭრილი. მაშ რა მომივიდა? თანდათან გონს მოვედი და მომაგონდა შემდეგი:

შუა ღამე გადასული იყო, რომ ტელეფონით ბრძანება მივიღეთ: მოწინააღმდეგეზე იერიში მიიტანეთო. მთელი ორი დღის განმავლობაში მტრისგან არც თოფი გავარდნილა და არც ზარბაზანი. ვიფიქრეთ, ან უკან დაიხიეს, ან და საკმარისი ჯარი არ ჰყავთ და შემობრძოლებას ვერ ჰბედავენო.

როგორც მოგახსენეთ, იერიში უნდა მიგვეტანა. უკვე კარგა გათენებული იყო. ავიშალენით და მოწინააღმდეგის პოზიციებისკენ გავსწიეთ; ამუშავდნენ გერმანელები. სანამ ზარბაზნებისა და თოფების სროლას დაიწყებდნენ, სხვა და სხვა ფერი შუშხუნები გამოუშვეს. კუდიანი ალი წამოვიდოდა, ჰაერში გასკდებოდა, იქაურობას გაანათებდა და მერე ნელინელ ჰქრებოდა. ამას მოჰყვებოდა სხვა ფერის შუშხუნა, მერე რამდენიმე ერთად. ცა ისერებოდა ცეცხლით და საოცარ, მეტად ლამაზ სურათს წარმოადგენდა. დილის ნიავი ჩვენსკენ უბერავდა.ფრთხილად და ფეხაკრებით მივდიოდი. ირაჟრაჟა. შორს გერმანელთა თხრილები შევამჩნიეთ. უცებ ამ თხრილებიდან მომწვანო და მოყვითანო ბოლი წამოვიდა. თურმე ეს ყოფილა შხამიანი ბოლი.

მეც თავბრუ დამეხვია... წავბარბაცდი... აღარაფერი მახსოვს...

მოვრჩი, სამი კვირის შემდეგ ისევ ბრძოლის ველზე გაველ.

ს.

# ახალი ამბავი

**კავკასიის ერობის შესახებ.** დეპუტატ პაპაჯანოვისაგან შემდეგი დეპეშა მოუვიდა ქალაქის მოურავს ა. ი. ხატისოვს: „19 ივნისს კადეტთა პარტიის ფრაქციამ მომანდო მე წარვუდგინო ჯერ-ჯერობით საერთო შინაარსი კავკასიის ერობის პროექტისა. სათათბიროდ ჩემ მიერ მოწვეულთა შორის არიან ავალიშვილი, ანდრონიკაშვილი, ფარრახბეკ ვეზიროვი, ვერმიშევი და ალიბეგოვი. გადაწყვეტილია მუშაობა გულმოდგინედ განვაგრძოთ. საჭიროდ არის ცნობილი, კავკასიის ყველა დეპუტატებმა იშუამდგომლონ მეფის მოადგილის წინაშე, რათა დაუყოვნებლივ წარმოუდგინოს უმაღლეს მთავრობას კანონპროექტი ერობისა. თათბირში მონაწილეობა არ მიუღიათ კავკასიის დეპუტატებს, რომელნიც სხვა და სხვა მიზეზების გამო პეტროგრადში არ იმყოფებიან ამ ჟამად, მაგრამ თავიანთი სურვილი შემატყობინეს, რომ ამ დღეებში მონაწილეობას მივიღებთო. სათათბიროს წევრები საერთოდ მოწვეული არიან პეტროგრადში 10 ივლისისათვის და მაშინ დანამდვილებით გვეცოდინება რა თვალით შეჰხედავენ ფრაქციები კანონპროექტს. დარწმუნებული ვართ, სათათბიროს უმეტესობა მხარს დაგვიჭერს.

**კავკასიის წითელი ჯვრის გამგეობამ** ყველა ლაზარეთებს შემდეგი საყურადღებო წერილი გაუგზავნა: ომიანობის დაწყების შემდეგ რუსეთში შესამჩნევად იკლო სხვა და სსვა წამლის მასალის რაოდენობამ და განსაკუთრებით იოდმა, რომელიც დიდ საჭიროებას წარმოადგენს ქირურგიაში. ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოთ არ დაიკარგოს იოდიანი ნახმარი ბამბა და მარლა. ეს ნივთები ძლიერ საჭირონი არიან, რადგან იმათი გამოხარშვა შეიძლება განსაკუთრებულ ჭურჭელში, რომელიც ყველა ლაზარეთში მოიპოვება. ჭურჭელი ისეთია, რომ იმის საშუალებით იოდიან ბამბაში ანუ მარლაში ორთქლი გატარდება, რომელსაც თან გააქვს იოდი. ორთქლი ცივდება საყინულეში და გამაგრებული, როგორც ბროლი, იოდი ძირს ჩამოცვივა.

**არ. ს. ბაბოვი** გუშინ, საღამოს მატარებლით, გაემგზავრა მოსკოვს ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე დასასწრებლად.

**ფულის მიღება.** კავკასიის ქალაქთა ბიუროს თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა ორასი ათასი მანეთი მიიღო რუსეთის ქალაქთა კავშირის თავმჯდომარის ბ-ნ ჩელნოკოვისაგან. ამ ფულებიდან ბ-ნმა ხატისოვმა თბილისის ლაზარეთებისათვის დაინარჩუნა 125 ათასი მანეთი, ხოლო 30 ათასი მანეთი გაგზავნა ალექსანდროპოლს, 15 ათასი ეკატერინოდარს, 15 ათასი კავკავს, 5 ათასი გორს და 10 ათასი მანეთი სარაყამიშს.

**აბანოების გაგზავნა.** გუშინ სარაყამიშს გაიგზავნა 3 მოძრავი აბანო.

რედაქციამ მიიღო ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადობის სექციის [illegible]ძრდილი—ილ. ჭავჭავაძისა, [illegible] შაბიშვილი—ილ. ჭავჭავაძისა, **გიორგი სააკაძე**—ს. კაკაბაძისა, **სარჩობელაზედ**—ილ. ჭავჭავაძისა, **სახადი და მასთან ბრძოლა**—ექიმ. ს. კანდელაკისა, **კაკო კაჩაღი**—ილ. ჭავჭავაძისა, **მოკლე სახელმძღვანელო ბუნების მეტყველებისა**—ს. იაშვილისა, **მოგზაურობა სისხლის წვეთისა**—ნ. ოლიპოვსკისა, თარ. ივ. ე. თიკანაძისა.

**გოგირდი.** კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრთა ერთ ჯგუფს შეკითხვა შეაქვს გამგეობაში იმის თაობაზე, თუ რა უფლების ძალით ხსენებულმა საზოგადოებამ გოგირდი მიჰყიდა კერძო პირს, ვაჭარს სარიევს, მაშინ, როდესაც რუსეთიდან გამოწერილი გოგირდი მხოლოდ სოფლის მეურნეებზე უნდა გაყიდულიყო. ხსენებულმა სარიევმა გოგირდი საზოგადოებისაგან შეიძინა ფუთი 8 მანეთად, შემდეგ კი თვითონ ჰყიდდა 15 მან.—15 მან. 50 კაპ., ხოლო კახეთში იმავე გოგირდს მეურნენი ჰყიდულობდნენ ფუთს 20—22 მანეთად. საგულისხმოა, რომ თაოსნობა გოგირდის გამოწერისა და თბილისში მოტანისა ეკუთვნოდა კავკასიის საიმპერატორო სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, ხოლო თბილისში მოტანის შემდეგ ხსენებული საზოგადოება საქმის წარმოებას ჩამოშორდა და გარედან ადგენდნენ იმ პირთა სიას, რომლებსაც უნდა მიეღოთ გოგირდი.

**ქაღალდის სიძვირე.** თბილისში საგაზეთო თუ სხვა მოსახმარ და საწერ ქაღალდის შოვნა მეტისმეტად გაძნელდა. ქაღალდის სიძვირე და ძნელად შოვნა იმით არის გამოწვეული, რომ პრივისლიანის და პრიბალტიის მხარეს, საიდანაც თბილისს შემოჰქონდათ, ქაღალდის დამუშავება შემცირებულია.

**მარშლის ავადმყოფობა.** ქუთაისიდან იტყობინებიან: ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლი დავით ოტიას ძე ნიჟარაძე საგრძნობლად ავად გამხდადა რევმატიზმით. ექიმები ურჩევენ პიატიგორსკში წასვლას და წყლებით წამლობას.

**ზარალი ნიაღვრისაგან.** როგორც გადმოგვცემენ, ამას წინად მოსულმა ნიაღვრებმა დიდი ზარალი მიაყენა კახეთის სხვა და სხვა კუთხეებს. დიდი ზარალი მიაყენა აგრეთვე სოფელ ტოგნიანის, კისისხევის და კონდოლის მცხოვრებთ. ამ საშინელ ნიაღვრისაგან დაზალდა არა მარტო ერთი და ორი ამა სოფლის მცხოვრებნი, არამედ **თითქმის** ყველა. ვენახები, ყანები და რაც დამუშავებული იყო ყველაფერი გაანადგურა მოულოდნელმა ნიაღვარმა. რა კი ეს პატარა მდინარე ყოველ წლობით მატულობს და საფრთხეს უმზადებს იქაურ მკვიდრთ, ამის გამო თბილისის საგუბერნიო მევენახეობისა და მიწად-მოქმედების კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა მეფის მოადგილის კანცელარიის, მიწათმოქმედ. დეპარტამენტის და გუბერნატორის წინაშე, რათა დაეხმარნენ მდინარე კისისხევის ადიდების წინააღმდეგ ზომების მისაღებად.

**თბილისის გუბერნიის მევენახეობისა და მეღვინეობის კომიტეტმა** 6 ივლისს მოისმინა მოხსენება უფროსი სპეციალისტის ა. ი. ვისნიოვსკისა, კონდოლის სახელმწიფო სანერგის გამგის ა. ა. კუპეევისა და უფროსი ინსტრუქტორის მაკარაშვილისა იმის შესახებ, რომ მდინარე კისისხევი, დროზედ თუ არა უშველეს-რა, გააოხრებს არა მარტო კონდოლის სანერგეს, არამედ სოფ. კისისხევს და უფრო მეტად სოფ. კონდოლსო. კომიტეტმა ამის გამო დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას ბ-ნ თბილისის გუბერნატორისა და სხვა სათანადო დაწესებულებათა წინაშე, რათა დაუყოვნებლივ ღონისძიება იქნას მიღებული ხსენებულ მდინარის გასამაგრებლად, რისთვისაც საჭიროა სანერგეს ზემოდ ყოფილ ქვის კედლის განახლება და გაგრძელება.

**გორის ეპისკოპოსმა ანტონიმ,** როგორც ვწერდით, თავის კათედრის განთავისუფლება გადასწყვიტა და სინოდში შესაფერი თხოვნა გაგზავნა. ახლა, როგორც დანამდვილებით გავიგეთ, ყოვლად სამღვდელო ანტონს განუზრახავს კვლავ დარჩეს გორის კათედრაზე და განაგრძოს მოღვაწეობა თავის სამშობლოში. ამ აზრით სინოდისთვის დეპეშით უკვე უთხოვნია, უკან დაუბრუნოს თვისი თხოვნა გორის საეპისკოპოსო კათედრის დატოვების შესახებ.

◆ **სურსათი.** 6 ივლ. მოტანილია თბილისში: ფქვილი 4 ვაგ., ჭვავი 1 ვაგ., შაქარი 3 ვაგ., ფხვნილი შაქარი 3 ვაგ., ბრინჯი 1 ვაგ., მარილი 1 ვაგ., ქვამარილი 3 ვაგ., კარტოფილი 1 ვაგ., ქერი 2 ვაგ., მსხალი 1 ვაგ., ქვის ნახშირი 3 ვაგ., შეშა 14 ვაგ., სანთელი 1 ვაგ., ნავთი 5 ვაგ., მაკარონი 467 ფუთი. კიტრი 526 ფ., კარაქი 76 ფ., ქათამი 37 ფ., რკინეულობა 70 ფუთი.

## მოდით, ავამოძრავდეთ!

ძველი ქართველის პსიხოლოგია სრულიად არ ეთანხმება აწინდელისას. მაშინ, ურემი რომ გადატრიალდებოდა, გზა ჩნდებოდა და მაზედ სწორედ მიიმართებოდნენ კეთილდღეობისაკენ.

ძველად ქართველ კაცს თვალნი ესხა ხილვად და ყურნი სმენად. დღეს კი არც ერთი ასხია და არც მეორე და გადატრიალებულ ურმის შემდეგ გზის აღმომჩენიც არავინაა.

ერთმა ჩემ ძველ მეგობართაგანმა უსაყვედურა მეორე, აწ გამოჩენილ მსწავლულ არქეოლოგს.—შე დალოცვილო, რო მიწიდან ამოთხრილ ჭურჭელ-სამკაულის დალაგება-დაწყობაში არ ჩაალიოშენი ძალ-ღონე ძველი ცხოვრების შესასწავლ-გამოსაკვლევად, ის არა სჯობს, რომ ცოცხლების ყოფა-ცხოვრება გამოიკვლიო, შეისწავლო და შვების გზა გვიჩვენო?-ო,

მეცნიერმა იწყინა ასეთი „უგუნური" შეკითხვა და პასუხი არ გასცა.

მეცნიერნი, ასეა თუ ისე, თავიანთ გზას ადგანან და კულტურულ მუშაობას ეწევიან, თუნდაც ეს ღვაწლი არ აკმაყოფილებდეს ერთს ან მეორეს. ხოლო ჩვენ რას ვაკეთებთ?—აი, საკითხი იმ დროის, როცა მთელი აჭარა, შავშეთ-კლარჯეთი და მისი მიმყოლი კუთხეები განადგურებულია, ქართლ-კახეთი და იმერეთ-გურია-ოდიში ნიაღვარმა წალეკა და მათ მკვიდრთ, ჩვენ მკვიდრ ძმებთ, შიმშილი გუდავს. თითქმის არაფერს, თუ გვერდს აუვლით ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების აწინდელს მოღვაწეობას. ხოლო ეს მოღვაწეობა ერთი წვეთია იმ უბედურების ზღვის მორევში, რომელიც ჰლამობს ჩვენი ქვეყნის ჩანთქმას. ხოლო ერთ წვეთსაც თავისი ძალა აქვე, თუ მუდმივადა და ნაყოფიერად მოძრაობს, და მით უმეტესი ძალა ექნება, თუ ამ წვეთს სხვა წვეთებიც შეუერთდება და პატარა ნაკადულად მაინც გადიქცევა. ამ საზოგადოების გამგეობა შეეცადა აამოძრაოს ქვეყნის კულტურული ძალები, მიმართა საქართველოს სხვადასხვა კუთხეთა წარმომადგენელთ, გახსნან აქა-იქ ამ საზოგადოების განყოფილებები და ამ ხანად მუშაობა სწარმოებს კიდეც ბათომსა და ქუთაისში. ადგილობრივ მან მიჰმართა ქართველ მეურნეთა საზოგადოებას, ვექილთა და ექიმთა კრებულს, დაარსონ გამგეობასთან ბიუროები ხალხის პრაქტიკულ შემწეობის აღმოსაჩენად. ქართულ სამეურნეო საზოგადოების გამგეობა გვერდში ამოუდგა საქველმოქმედო საზოგადოების გამგეობას და უკვე შრომის უღელს ეწევა. ქართველ ვექილთა კრებულმა აგრეთვე ამოირჩია თვის შორის ხუთი ვექილისაგან შემდგარი ბიურო და გვერდში ამოუყენა საზოგადოების გამგეობას. ამათ დავალებულზე მეტიც იკისრეს, ყოველთვიური წვლილიც შეაქვთ საზოგადოების სალაროს გასაძლიერებლად და პრაქტიკული მუშაობაც გააჩაღეს. ექიმები კი შეიკრიბნენ, ილაყბეს, იმასლაათეს და დაიშალნენ, რადგან ერთმა დამსწრეთაგანმა დაარწმუნა კრება, ზოგიერთ ურწმუნოთა გარდა, რომ ექიმთა კრებული უკვე შეუდგა მუშაობას ქვეყნის საკეთილდღეოდ, იკვლევს სამეცნიერო ტერმინოლოგიას, მალარიის საკითხს და სხვადასხვა, რომ ამ ხანად ესეც საკმარისია, და თუ რამ გასაჭირი დაადგა ქვეყანას, მაშინ კვლავ შევიკრიბოთ და მოვიფიქროთო.

ეს ყოველისფერი კარგია და პატიოსანი, ხოლო ამაზე მეტს უბედურებას უნდა მოველოდეთ განა? ან რაღა უნდა იყოს იმაზე მეტი, რაც დღეს გვადგია? ამაზე მეტი ის იქნება, რომ ციებ-ცხელების (მალარიის) სენი ერთი ასად იმატებს, რადგან ქვეყნის მოსავალი ნიაღვარს წაუღია და დამშეულს უფრო ეკიდება ყოველგვარი სენი. იმატებს, რადგან მთელი მდინარეების პირად გაშენებული საქართველო კოლოების სახეირო ტბებადაა გადაქცეული,

მაშ მოდით, ნუღარ ვუცდით უარესს. მოდით, დავირაზმოთ და შევებათ უღელში უკვე მომქმედ მუშაკთ. მოდით, მოზარდი ახალთაობაც ავამოძრავოთ და დავიხმაროთ. ჩვენს დედებსაცა და დებსაც გსთხოვოთ მოგვეშველონ, ვისაც რა შეუძლია თვისი ან შეგროვილი წვლილი მიაწოდოს საზოგადოების გამგეობას*), ვისაც რა შეეძლება ტანთსაცმელით, სანოვაგით, თუ რამ სხვით დაეხმარონ ადგილობრივ დამშეულ-დამწყურვებულთ და სხვა და სხვა. ყოველს დიდს გასაჭირში ძველი საქართველო სულ ერთიანად ამოძრავდებოდა ხოლმე და გასაჭირს გაუმკლავდებოდა. მოდით, ჩვენც იმ გზით ვიაროთ და თავზე ლაფს ნუ დავისხამთ!

**ივანელი.**

## გზა და გზა.

(გაგრძელება).

**კარდანახში.**

ჩემმა მასპინძელმა კარგად იცოდა, რომ კახეთში მოკლე ხნით წამომიყვანა. ამიტომ სცდილობდა, ახლო-მახლო ნათესაობაც გაეცნო და ამასობაში სოფლებიც დაეთვალიერებინა. გადავწყვიტეთ, წნორისწყალზე წავსულიყავით მის მოყვარესთან. დილა ადრიან მოვნახეთ ეტლი და დანიშნულებისაებრ გავეშურეთ.

პირველი სოფელი, რამაც გზად ჩემი ყურადღება მიიპყრო, ეს გახლავთ კარდანახი. მართლაც, თუ სადმე სოფელი სოფლობს, ეს ისევ კარდანახს შეუძლიან. მდებარეობა მისი თვალწარმტაცია. მცხოვრებთა რიცხვი 900 კომლამდეა. აქ აქვთ ორი სასწავლებელი: ვაჟთათვის სამინისტრო, ქალებისთვის—სამრევლო. არის საკრედიტო განყოფილებაც. ბაზარი მას პატარა დაბის შეხედულობას აძლევს. შენობები აქაც ბაღებით არის შემორტყმული. თვითეული შენობა ნამდვილი ფრანგული ყაიდის ვილაა. განთქმული აქაური ღვინო პირველი წყაროა არა თუ მცხოვრებთათვის, არამედ მთელი ამ მხარისათვის. ვენახი—აი აქაურთა საზრუნავს რა წარმოადგენს. დამუშავებულიც საუკეთესოდ აქა აქვთ. სამწუხაროა, რომ შერემეტიევს სოფლისთვის მოუგლეჯია ნამდვილი გული და სიმდიდრე: დაქანებულ ფერდობზე თვალუწვდენელი ოთხკუთხი ვენახი მისი საკუთრებაა. ერთი შეხედვით ვენახი წალკოტს წარმოადგენს. მაღლა კიდევ მშვენიერი სასახლე გაუჭიმიათ...

წელს კარდანახელები ყურებჩამოყრილნი არიან. მიზეზი მათი დაღონებისა სეტყვა გახლავთ. ყველგან მოსთქვამენ, სეტყვამ და ნიაღვარმა ვენახი გაგვიტიალა, მოსავლის იმედი აღარა გვაქვსო. მართალია, ზოგან გადარჩენილან, მაგრამ მათი რიცხვი მეტად მცირეა. ესეც იმ ადგილებში, სადაც მორტირები უდგიათ სეტყვის ღრუბლების გასაფანტავად. სეტყვას კიდევ გაუძლებდა ადამიანი, რომ ვაზის საშინელი ავადმყოფობა არ მძვინვარებდეს. მტევანის მარცვალი შავდება, ხმება და სცვივა. ფოთოლი რა არის, ისიც კი არა რჩება. ხალხი ამ ავადმყოფობას ყურძნის შავ ჭირს ეძახის. არც მუყაითმა მოვლამ და არც სასტიკმა ღონისძიებამ ვერ იხსნა ვაზი ამ ავადმყოფობიდან. და აი, რაც ამან დააკლო, როგორც ვსთქვით, ახლა სეტყვამ დააგვირგვინა. ასევე განადგურებულა მოსავალი, ხილი. სოფლიდან სოფელში მისვლა ხომ გაძნელდა, გზები გაფუჭებულა. კარდანახის ხევში, მაგალითად, მგზავრს ყოველთვის ხიფათი ელის. განსაკუთრებით საშიშოა, თუ უცხოდ ხართ მოსული, ანუ ღამით მოგიხდათ მგზავრობა...

**ციგნები სოფლად.**

კარდანახიდან მორიგი სოფელი ანაგაა. შესვლისთანავე წინ ორი ციგანი შემოგვეყარა. გვთხოვდნენ, შაურად გიმკითხავებთო. აძონძილს ვაჩუქეთ და ისე გავისტუმრეთ. გვეგონა ამითი გადავრჩებოდით. სოფლის შუაგულში რო შეველით, შევხედოთ, მთელი ლაშქარი ციგნებისა უბან-უბან მოსდებოდა. გამვლელ-გამომვლელს ყველას უმკითხავებდნენ. სამკალი იმდენად დიდი იყო, რომ ვერც კი ასდიოდნენ. სოფლელები თვითვე ეხვეოდნენ და არ უსვენებდნენ ციგნებს. განსაკუთრებით ქალები კალთებს აგლეჯდნენ.

— ჩემი გიო ვაენობაშია, ცოცხალი დამიბრუნდება თუ არა..."

ყველა თავის გიოს ბედს კითხულობდა. ციგნებიც ჰგრძნობდნენ, დრო ჩვენს ხელთ არისო და ღობის ძირას, ქუჩად, ჯვარედინ გზაზე რომ აღარ ვთქვა, დიდის ოსტატობით გაებათ ქსელი, ყველა პუნქტებთან ჩამომსხდარიყვნენ და ბუზსავით მოხვეულ ქალებს და ბავშვებს უკითხავდნენ ბედს. მკითხაობდნენ მოხუცნი, ახალგაზდობა, თვით პატარა გოგო-ბიჭებიც კი. გული მომიკლა ამ სურათმა. ჩამოვხტით. მივედით მოზრდილ ჯგუფთან.

— რაო, რა ამბავია?—შევეკითხეთ ერთს მოხელეს.

— რაღა რა ამბავია, შენი ჭირიმე,

— მერე ესენი რას გიშველიან?

— რა უნდა გვიშველონ, ეს ხომ იქნება, რომ ამბავს შეგვატყობინებენ. ჩვენთვის არც ღმერთია და არც კაცი. ვაენობა აღარ თავდება. ამდენ ბიჭებს მოუსვეს ხელი და არავინ იცის მათი ასავალ-დასავალი. ვწერთ წერილებს, ვწერთ, მაგრამ არა იქნა რა. ესენი მაინც ერთგვარ ნუგეშს მოგვცემენ.

მინდოდა წინააღმდეგში დამერწმუნებინა, მაგრამ გადვიფიქრე. მოხუცის მჭმუნვარე სახეზე არა მსურდა ზედმეტი ტანჯვის ბეჭედი დამესვა.

— სარწმუნოებამან შენმან გაცხონოს შენ,—ვსთქვი გულში. ზოგჯერ მცირედით თავის მოტყუება საჭიროა იქ, რითაც დიდი უბედურების გადატანა გვიმსუბუქდება მეთქი. ის ის იყო ეტლისკენ გამობრუნებას ვაპირებდი, რომ შევიტყე, გლეხს საუბრის გაგრძელება სურდა.

მოხუცს სხვებიც ჩამოერივნენ. არ ვიცოდი, რა მეპასუხნა. გადაკვრ-გადმოკვრით ომის სურათის სინამდვილე რაოდენადმე ვაგრძნობინე. მან წარბი შეიკრა. ყველას სწყინდა გერმანელთა გამარჯვება. მართალია, ვანუგეშებდი, ეს დროებითია მეთქი, მაგრამ ბერი-კაცი „დროებითისას" არ იცდიდა და ეხლავე ჰსურდა, რომ გამარჯვებული დაბრუნებულიყვნენ მისი და მისი მეზობლის შვილები.

ამასობაში ბოშა დედა-კაცი მოვიდა და მთხოვა, მაკითხვინეთო. ბერი-კაცი ჩადგა ჩემს კანდიდატად. მის მაგიერი სასყიდელი გავიღე და ქვევით განვაგრძე გზა:

— ეჰ, ჩვენო სოფელო, რა მშვენიერი ხარ, რა ტურფა... მიყვარს ეგ შენი ჯადოსნური სილამაზე,.. მას ვცნობ... ვაფასებ... მაგრამ ამავე დროს ვხედავ შენს უპატრონობას, შენს ტანჯვას, ბედითი მოთქმას... უსაზღვრო არის შენი სევდა, ვგრძნობ მის სიმძლავრეს, ვგრძნობ იმასაც, რაც რომ აკვნესებს. მაგრამ... რა ვქნა, რა მეთქმის, რომ უძლური ვარ შენს ჭრილობას მოვბანო პირი. ვგრძნობ თქვენს სიობლეს, ვგრძნობ მარტოობას და ეს ვალალობა მით უფრო მისკეცდება, რომ შენის ბედის გამგედ და ძვირფას მანუგეშებლად მხოლოდ ციგნები და მოთრეული ბოშანი დამდგარან...

მივქროდით, მაგრამ ჩემს შავ-ბნელ ფიქრებს ეტლის უსიამოვნო ჯაყჯაყიც არ მიქრობდა. ჩემი მეგობარი კი იმღერდა, ადგილ-ადგილ ფიქრთა ძაფს შემიწყვეტდა და დამანახვებდა ისტორიულ ადგილს, შესანიშნავ ციხე-კოშკს, მონასტერს, გაღმა უტეხ-ტყით ნაფენ კავკასიონის გრეხილისკენ და ათასი ამბის სურდა გავერთე. მეტი წილი საუბრისა ყაჩაღთა ოინებს დასტრიალებდა, თუ სად როგორ იქცევიან, სად ვინ როგორ მოჰკლეს, გასძარცვეს და სხვა. მაგრამ ჩემი ფიქრი ისევ ანაგას მისჯაჭვოდა, ანაგას, სადაც მთელ სოფელს სასოების თვალი ციგნებისთვის მიეპყრო.

(შემდეგი იქნება)

**დ. კახრაძე.**

*) მისამართი: თბილისი. ქართულ საქველმოქმედო საზოგადოების მოლარეს ვ. რ. ყიფიანს.

## საშენებელ სითხის შემადგენლობა

(ვუძღვნი პრივატ-დოცენტებს ქიმიკოსებს იასონ და ანნა (ვარდიკო) მოსეშვილებს)

საშენებელ მასალის შეზავება-შემადგენლობის შესახებ ცნობას იძლევა ქართული ხელთნაწერი № 691, რომელშიაც გვხვდება სრული ისტორია კონსტანტინეპოლის სოფია-წმიდის აგების შესახებ.

ეს საყდარი აავო იუსტინიანემ მეექვსე საუკ. მეორე ნახევარში. ეტყობა, ამ საყდრის დიდებულებას შესაფერი შთაბეჭდილება მოუხდენია ყველა ხალხებზე, რომელთაც პოლიტიკური თუ მარტო კულტურული დამოკიდებულება ჰქონდათ ბიზანტიასთან. ალბად, იქიდგანვე მოიტანეს ჩვენში სახე მოზაიკით შენებისა, ვინაიდგან თვით „მოზაიკას" ქართულად ჰქვიან „სოფიის კენჭი". ამ სოფიის-კენჭით მოკენჭილია უძველესი ჩვენი წრომის მონასტერი. თვით საყდრების ასაგებ სითხის შემადგენლობაც, ალბად, იქვე ისწავლეს. ამ უკანასკნელის შესახებ ხსენებულს წიგნში (№ 691, გვ. 45) ვკითხულობთ:

„სახე ტაძრისა ანგელოზმან ასწავლა მეფესა პირველთგანვე გონებით მეცნიერებაჲ აღშენებად სიმტკიცით სიბრძნითა საღთოჲთა ვითარცა შეჰგანდა აღმართებასა ესე ვითარისა ტაძრისსა. და დადგნა ქუაბნი დიდნი, აგბობდა **ქერსა** და ნაგბობითა მით ზავებდა **კირსა ქუიშასა** თანა **კეცისასა** ნაცვლად წყლისა, რამეთუ მალიად შემყოფელი არს წებოს სახედ. და ეგრეთვე **ძეწნის** ხისა **ქერქსა** აგბობდეს ქუაბითა **ქერქსა თანა საზავებლად კირისა**".

თითქმის წარმოუდგენელია, რომ ასეთივე ნაზავები არ ეხმარნათ ჩვენი ათასწლოვანი საყდრების ასაგებად. სამწუხაროდ, ეს კითხვა ჯერ გამორკვეული არ არის.

**მ. ჯანაშვილი.**

## ქალაქის საბჭო

6 ივლისის სხდომა გაიხსნა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თავმჯდომარეობით საღამოს 9 საათზე. ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზედ დასასწრებლად მოსკოვში, 11 ივლისს, ამორჩეულ იქნენ ხმოსნები თავ. ბებუთოვი და არ. ბაბოვი. ხსენებულ კრებას აზრად აქვს სურსათის სიძვირისა და გადამდებ სენთან საბრძოლველ ღონისძიების გამონახვა. შემდეგ კრება შეუდგა სასაკლაოს აგებაზე გაწეულ ანგარიშის განხილვას. როგორც ანგარიში გვიჩვენებს, გადადებული იყო სასაკლაოს ასაგებად 900,000 მანეთი, 1913 წელს საბჭომ კიდევ გადასდო ამ საქმისათვის 50,639 მან. 85 კაპ., სულ 950,639 მან. 85 კაპ., დაიხარჯა სულ 971,292 მან. 06 კაპ., მაშასადამე, გადადებულ ფულზე მეტი დახარჯულია 20,652 მან. 21 კაპ. აღმასრულებელი კომისია დარჩენილ მასალას აფასებს 14.100 მანეთად, მაშასადამე, დეფიციტი იქნება 6,552 მან. 21 კაპ. საბჭომ ანგარიში დაამტკიცა. კრებამ აგრეთვე განიხილა სავალდებულო დადგენილების პროექტი საძეხვეებისა და საკატლეტეების შესახებ. პროექტის განხილვას დაესწრო გუბერნიის ექიმი ტ. ს. ქიქოძე. პროექტი შეიცავს 28 მუხლს, რომლებიც ეხებიან ქარხნის გახსნისა და შენახვის პირობებს გიგიენურის მხრივ. პროექტი მიღებულ იქნა რამდენიმე შენიშვნებით, რომლებიც გაუკეთა ექიმმა ქიქოძემ. კრებაზედ განხილულ და შეწყნარებულ იქნა ქალაქის მოურავის ა. ი. ხატისოვის თხოვნა შესახებ იმისა, რომ 25 ივლისიდან 15 დღით ნება ჰქონდეს მას დასასვენებლად და საექიმოდ წასვლისა. აგრეთვე მოსმენილ და შეწყნარებულ იქნა განცხადება შიოევისეულ ქალაქის სახლის ამშენებელ იჯარადრისა, რომელიც ზედმეტს 5000 მანეთს თხოულობდა, რადგან ყოველგვარი მასალა და მუშახელი გაძვირდაო. ეს 5000 მან. შეადგენს 10 პროც.-ს ქალაქსა და იჯარადრის შორის დადებულ ხელშეკრულობაში აღნიშნულ თანხისას. დასასრულ საბჭომ მოისმინა და შეიწყნარა სენატის ბრძანება და გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ალექსანდრეს ბაღის ქვედა ნაწილში, ბაზრის ქუჩიდან მოყოლებული ბარიათინსკის ქუჩამდე, ხეივანი გაშენდეს და საზოგადო ფეხის ადგილი იქნას სხვა ადგილას გადატანილი, რაიცა თხოულობს 3900 მანეთს ხარჯს.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

## კახეთის რკინის გზის მიმოსვლა

**(დრო ადგილობრივ საათით არის ნაჩვენები)**

თბილისიდან გადის: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით; უკან ბრუნდება: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| თბილისიდან | 8 ს. | 13 წ. | დილ. |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 8 „ | 40 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ | 8 „ | 58 „ | „ |
| ვაზიანიდან | 10 „ | 06 „ | „ |
| ივრიდან | 21 „ | 15 „ | „ |
| საგარეჯოდან | 11 „ | 58 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 56 „ | „ |
| მელაანიდან | 2 ს. | 16 წ. | სად. |
| გურჯაანიდან | 3 „ | 37 „ | „ |
| კარდენახიდან | 4 „ | 12 „ | „ |
| წნორის-წყალზე | 4 „ | 44 „ | „ |

**გურჯაანიდან-თელავამდე № 7.**

| | | | |
|---|---|---|---|
| გურჯაანიდან | 3 ს. | 42 წ. | სად. |
| ვაჩნაძიანიდან | 4 „ | 33 „ | „ |
| თელავში | 5 „ | 27 „ | „ |

**თბილისისკენ მოდის:**

| | | | |
|---|---|---|---|
| წნორის-წყლიდან | 8 ს. | 58 წ. | დილ. |
| კარდანახიდან | 9 „ | 41 „ | „ |
| გურჯაანიდან | 10 , | 24 „ | „ |
| მელაანიდან | 11 „ | 39 „ | „ |
| ბადიაურიდან | 12 „ | 59 „ | დღ. |
| საგარეჯოდან | 2 „ | 80 „ | „ |
| ივრიდან | 2 „ | 50 „ | „ |
| ვაზიანიდან | 3 „ | 55 „ | „ |
| ნავთლუღ-კახეთ. | 4 „ | 58 „ | „ |
| ნავთლუღ-ამიერ-კავ. | 5 „ | 13 „ | „ |
| თბილისში, | 5 „ | 28 „ | „ |

**თელავიდან-გურჯაანამდე № 8.**

| | | | |
|---|---|---|---|
| თელავიდან | 8 ს. | 54 წ. | დილ. |
| ვაჩნაძიანიდან | 9 „ | 25 „ | „ |
| გურჯაანში | 10 „ | 07 „ | „ |

## ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.

**(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)**

**თბილისში მოდის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან | 12 ს. | 54 წ. | დღ. |
| № 4 | ბათომიდან | 5 ს. | 55 წ. | სად. |
| № 5 | ბაქოდან (სწრაფი) | 7 ს. | 41 წ. | სად. |
| № 10 | ბათომიდან | 9 ს. | 51 წ. | დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. | 53 წ. | დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. | 25 წ. | დილ |

**თბილისიდან გადის:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. | 45 წ. | დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. | 3 წ. | სად. |
| № 6 | ბაქოს (სწრაფი) | 12 ს. | 8 წ. | დღ. |
| № 9 | ბათომისკენ | 8 ს. | 53 წ. | სად. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. | 23 წ. | სად. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. | 29 წ. | დღ. |

**გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა**

**ახალი აფთიაქი**

**პროვიზორის ახვლედიანისა.**

25—29

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძიძიგურები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახ. № 7. ტელეფონი № 712.**

ყოველდღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „**ლ. მაილოვის-შვით**", სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზილალა**, მცირე მარილიანი, შავი „**მეშოჩნი**" ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო. გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.

ძლიერ-მბეჭდავი სტამბა სპირიდონ ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქ. № 5.

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.